ოქმი:**ო37. 3724180001**
თარიღი:**28/06/2024**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2024 წელი, 26 ივნისი

ქ. ოზურგეთი

11:00 – 14: 00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ.ხომერიკი.

ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ნ. ქარჩავა ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ნ.სარჯველაძე, მ.ვაშალომიძე, დ.მდინარაძე, ე.გორდელაძე, ვ.ნიჟარაძე, ს.ქარცივაძე, პ.სალუქვაძე, ა.ბურჭულაძე,

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 28-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 28-ხმით.

დღის წესრიგი

5.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

ოზურგეთის მერიის იურიდიული სამსახურის განყოფილების უფროსმა მ.ჭანტურიამ ისაუბრა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის პროექტის შესახებ, აღნიშნა, რომ პროექტის ცვლილებების შემუშავება, განპირობებულია იმით, რომ მოქმედი დადგენილება არის მოძველებული. გარდა ამისა პრეამბულაში მითითებული სამართლებრივი აქტი (მინისტრის ბრძანება) ძალადაკარგულია. ამასთან ერთად, მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად მიმდინარე პერიოდისთვის გარე რეკლამის რეგულირების მიზნით მიღებული სამართლებრივი აქტის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ა.ა.(იპ) „მუნიციპალური ინსპექცია“.

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

6.2. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

ოზურგეთის მერიის იურიდიული სამსახურის განყოფილების უფროსმა მ.ჭანტურიამ ისაუბრა, გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესიში ცვლილებების შესახებ. აღნიშნა, რომ N1 და N2 საკითხებთან დაკავშირებით არსებობს მათი სამართლებრივად მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახე, არსებებოს შესაბამისი მიმართულების შესაბამისი დარგობრივი კომისიების დასკვნები.

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

7.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

გელა ჩავლეშვილი

პაატა კიღურაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ.ჭყონიამ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზეზზე. მ. ჭანტურიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულებმა მათ შროის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომც უნდა უზრუნველყოს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტისა და მოსაკრებლის განაკვეთების კანონთან შესაბამისობა“. მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე.

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

8.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ.ჭყონიამ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილების პროექტის შემოტანა საკრებულოში განპირობებულია გასულ საანგარიშო წელს დაუგეგმავი შემოსულობებით და გარდამავალი პროექტებით. ამასთან ერთად მიმდინარე წელს მერიის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მობილიზებული იქნა გარკვეული ფულადი სახსრები, რაც იწვევს დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანას.

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27-ხმით

წინააღმდეგი-1

9.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

ქეთევან ხომერიკი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა მ.ცელაძემ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მე-5 მუხლი: გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადფაფინანსება“-ში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კერძოდ: გამონაკლის შემთხვევაში პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, იმ შემთხვევაში, თუ პაციენტებისთვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერის მიერ შექმნილი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების სამუშაო ჯგუფი.

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ.ბიგვავამ ისაუბრა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის შესახებ. მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ განხორციელების შედეგები 2020-2022 წლების პერიოდისათვის სახემწიფო აუდიტის მიერ შეფასებულია საკმაოდ პოზიტიურად. ამასთან ანგარიშში მითითებულია გარკვეული ხარვეზების შესახებ. საკრებულომ ეფექტიანობის აგარიში განხილვის შედეგების შესახებ, შესაბამისის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

მიღებულ იქნა ცნობად

35.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა ხ.სურგულაძემ წარმოადგინა პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. წარმოდგენილი პროექტი ექვემდებარება საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

36.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა ხ.სურგულაძემ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ. რომლის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული (თვითდასაქმებული) პირების მხარდაჭერა, დასაქმების ხელშეწყობა. წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პოზიცია, წარმოდგენილი პროექტების შესახებ. აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროექტზე დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი